

საქართველოს კანონი

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში“  
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №47, 28.12.2009, მუხ. 361) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ამ კოდექსის ამოქმედებამდე გაცემულ სესხებზე, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“;

2. 63-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალებად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, სესხის მიმღების მიმართ იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ან/და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.“.

3. 64-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების შესახებ მონაცემები აისახება რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სესხის გამცემი. სესხის გამცემი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს:

ა) თვეში ერთხელ (თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით) რეესტრში ასახულ ინფორმაციას;

ბ) სესხის ხელშეკრულების, სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვის გრაფიკის, ასევე მათში განხორციელებული ცვლილებების ასლებს.“;

ბ) პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>1</sup> ნაწილი:

„1<sup>1</sup>. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების ერთიან რეესტრს.“.

4. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 113<sup>1</sup> მუხლი:

„მუხლი 113<sup>1</sup>. სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2010 წლის 1 იანვრამდე გაცემული სესხები

1. 2010 წლის 1 იანვრამდე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემულ სესხებზე წარმოშობილი ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების შემთხვევაში, თუ შესაბამისი ხელშეკრულება ითვალისწინებს ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალებას რაიმე ფორმით, სესხის მიმღების მიმართ გამოიყენება ამ კოდექსის 63-ე მუხლი. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სესხის გამცემი არ არის შეზღუდული ამ კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული 6 თვიანი ვადით.

2. თუ 2010 წლის 1 იანვრამდე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემულ სესხებზე გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალებას არცერთი ფორმით, სესხის მიმღების მიმართ ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის ადმინისტრირებას საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით ახორციელებს საგადასახადო ორგანო საქართველოს საგადასახადო კოდექსის IV-V კარებით დადგენილი წესებით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ საკითხზე საქართველოს ფინანსთა მინისტრისათვის მიმართვისა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

3. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება სესხის მიმღების მიმართ:

ა) ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის შესახებ სასამართლოში საქმის განხილვის მიმდინარეობის პერიოდში;

ბ) თუ ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის შესახებ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი